საქართველოს გეოგრაფიის სწავლების მნიშვნელობა და მოტივაცია არაქართულენოვან სკოლებში

სალომე ლომთაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის
საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია ბლიაძე, გეოგრაფიის დოქტორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე, ლომთაძე, 20.01.2018”.

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის თემა არის „საქართველოს გეოგრაფიის სწავლების მნიშვნელობა და მოტივაცია არაქართულენოვან სკოლებში“. კვლევის მიზანი არის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მრავალფეროვანი საგაკავეთილო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება. საქართველოს გეოგრაფიის სწავლებისას არაქართულენოვან სკოლებში, მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლება და საგნის პოპულარიზაცია. კვლევა ჩატარდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ქესალოს საჯარო სკოლაში, სამიზნე ჯგუფი - მეცხრე კლასი (საკონტროლო და ექსერიმენტული ჯგუფი). ნაშრომის ფარგლებში კვლევის მეთოდებიდან გამოვიყენე კვლევის კომბინირებული მეთოდი რაც გულისხმობს, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებას. თვისებრივი მეთოდებიდან გამოვიყენე: დაკვირვება (გეოგრაფიის გაკვეთილზე), ჩაღრმავებული ინტერვიუ გეოგრაფიის პედაგოგთან. რაოდენობრივი მეთოდებიდან კვაზი -ექპერიმენტი რომელიც მოიცავს პრე ტესტს (საწყისი ცოდნის დონე) და პოსტ ტესტს (ინტერვენციების განხორციელების შედეგად მიღებული ცოდნის დონის გასაზომად) საკონტოლო და ექსპერიმეტულ ჯგუფში.

კვლევის ჰიპოთეზა არის „თანამედროვე ტქენოლოგიების გამოყენება საქართველოს გეოგრაფიის სწავლებისას არაქართულენოვან სკოლებში ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას“.

ნაშრომში დეტალურად არის აღწერილი ჩემს მიერ განხორციელებული ინტერვენციები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდასა და ცოდნის დონის ამაღლებაზე. რაც გულისხმობს აქტიური სწავლების სხვადასხვა სახის აქტივობას - ინტერაქტიული პრეზენტაციები, ვიდეო ფილმების ჩვენება, ასოციაციურ რუკაზე მუშაობა, გონებრივი იერიში , დისკუსიები და კონტურულ რუკაზე მუშაობა.

სასურველია მომავალში უფრო ხშირად ხდებოდეს საგაკვეთილო პროცესში სხვადსხვა სახის რესურსისა და თანამაედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, რადგან ისინი ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებას, მათ სასწავლო პროცესში მოტივაციის ამაღლებას და მთელი რიგი უნარ-ჩვევების ფორმირებას.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს გეოგრაფიის სწავლება, მოტივაცია, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება.

მადლობა

მე, სალომე ლომთაძე. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრი, მადლობას ვუხდი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ქალბატონ მაია ბლიაძეს, ნაშრომის მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისათვის.

მადლობა ქალბატონ, მანანა რატიანს საჭირო რესურსების და მასალების მოძიებაში დახმარებისთვის.

მადლობა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ქესალოს საჯარო სკოლის ადმინისტრაცია, გეოგრაფიის პედაგოგს - თაზაგულ ხალილოვას, დამხმარე პედაგოგს - ნინო ყულიაშვილს და მეცხრე კლასის მოსწავლეებს კვლევის ფარგლებში გაწეული დახმარებისათვის .